# 1 ნოემბერი

შაბათი
2025

ყველაწმიდას დიდდღესასწაული,
დდ [ს], თ

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

## ნეტარ არიან მშვიდობის მოქმედნი მთ 5,9

ყველა წმიდანი მშვიდობისმყოფელნი
და იესოს მოზიარენი გახლდნენ, რამეთუ
თავგანწირული სიყვარულით იდგნენ კაცთა
მსახურებაში. მეც მშვიდობისმყოფელი
ვარ, როდესაც იესოს სიტყვის თანახმად
ვცხოვრობ, ასე ვაცხადებ მის წმინდა
სიყვარულს. ყოველნო წმინდანო ზეცისა,
რომელნიც ქრისტეს სიწმინდეს აირეკლავთ,
თქვენთან ერთად ვგალობთ ზეციერი მამის
ქებას: ალელუია!

# 2 ნოემბერი

კვირა

2025

კვირადღე მოხსენიება ყველა მორწმუნე მიცვალებულისა, [ს], ი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს 41; გამოცხ 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

**მართალთა სულები ღმერთის ხელთაა** სიბრძ 3,1

რახანია, რაც ჩემი მშობლები, უფლის მორწმუნენი და მოყვარულნი, იესოს – ჩვენი გამომსყიდველის ნაიარევ ხელებს ჩავაბარე. მშვიდად მოველი  იმ დღეს, როდესაც მათ შევხვდები  და მათთან ერთად ვილხენ სამოთხის სიხარულით. არ ვიმსახურებ, მაგრამ მე მწამს იმ სიყვარულის, რითაც ვუყვარვარ იესოს და ზეციერ მამას მე, ისინი და ყველა.

# 3 ნოემბერი

ორშაბათი
2025

**რიგითი ჟამის XXXI კვირა [III]**

საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ), ი წმ. მარტინ პორესელი, დომინიკელი ბერი, +1639 ლიმაში

**რომ 11,29-36; ფს 68; ლკ 14,12-14**

(ან, მიცვალებულთა წირვის სხვა საკითხავები)

**მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?), მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილისა (+1937) და მ. კონსტანტინე შეშაბერიძის გახსენება**

## შენ მართალთა აღდგომისას მოიქცევება ლკ 14,14

იმ წმინდანებს შორის, რომლებიც წინა დღეებში მოვიხსენიეთ, არის სან მარტინო დე პორესი. პერუში, კერძოდ ლიმაში, იგი თავდაუზოგავად იღვწოდა ხანდაზმული, სნეული და უპოვარი ძმების მიმართ, რომლებიც განუწყვეტლივ აკაკუნებდნენ მონასტრის კარზე. თუკი უპოვარზე გასცემ და სანაცვლოს ვერ მიიღებ, მაშასადამე, უსასყიდლოდ გასცემ სიყვარულს, უფლისმიერ სიყვარულს. იგი უთუოდ მოგიზღავს გულის სიხარულით, და ბოლოს, „მართლებთან“ ერთად აღდგომით, ანუ მათთან, ვინც მამის ნებას აღასრულებს.

# 4 ნოემბერი



რიგითი ჟამის XXXI კვირა [III]

წმ. კარლო ბორომეო, კარდინალი,
მილანის ეპისკოპოსი, +1584, (მ), თ

**რომ 12,5-16; ფს 130; ლკ 14,15-24**

## ერთსულოვანნი იყავით ერთმანეთში

რომ 12,16

რომის ქრისტიანები შემართებით ცხოვრობ-
დნენ ზეციური სასუფევლის მოქალაქეებად:
გულით ატარებენ თავიანთი მეფის "გან-
ცდებს"; არიან მოწყალენი და თავმდაბალნი,
გასაჭირში მტკიცენი, იმედში ლაღნი, ძმურ
სიქველეში და ყველას მიმართ გულმხუ-
რვალენი. მათი წყალობით ცოტათი მაინც
სუნთქავდა წარმართული იმპერიული რომი
სამოთხის ჰაერს.

# 5 ნოემბერი

ოთხშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III], მწ

**რომ 13,8-10; ფს 111; ლკ 14,25-33**

*ვინცა არ აღარებს თავის ჯვარს,*
*ვერ ეახდება რემი მოწაფე* ლკ 14,27

ერთ-ერთმა მეგობარმა თავისი „ჯვარი“ მანდო: მისი მცირედმორწმუნე ნათესავები უნდა მენახა. კვირის წირვას ესწრებიან, მაგრამ არც სახლში  ლოცულობდნენ და არც სამრევლოში, არც ფორმაციულ შეხვედრებში იღებდნენ მონაწილეობას. მეგობარი კვლავაც თანაგრძნობით აგრძელებს მათზე ფიქრს და იმედოვნებს, რომ ოდესღაც უფალი მათ გულებსაც შეეხება.

# 6 ნოემბერი

ხუთშაბათი
2025



**რომ 14,7-12; ფს 26; ლკ 15,1-10**

## ვიპოვე რემი დაკარგული კრავი ლკ 15,6

იესო მამა ღმერთის გულს გვაჩვენებს, რომელიც ყოველი კაცის გამო ხარობს: ვინც მას უბრუნდება საკუთარი ცოდვის აღიარებით, ვინც აცნობიერებს, რომ მწუხარების გზებზე დაიკარგა. იესო, მინდა გემსგავსო და დაგეხმარო დაკარგულის პოვნაში, მზად ვარ მისი ტვირთის სატარებლად. ასევე მსურს გავიზიარო შენი სიხარული, რასაც განიცდი შენს ეკლესიაში თუნდაც ერთი ადამიანის დაბრუნების ხილვით.

# 7 ნოემბერი

პარასკევი
2025

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III], მწ

**რომ 15,14-21; ფს 97; ლკ 16,1-8**

*რათა წარმართთა შესაწირავი იყოს სასურველი*
*და სულიწმიდის მიერ განწმენდილი* ლკ 15,16

წმინდა პავლე რომის ქრისტიანებს წერს, რომლებიც ძირითადად წარმართობიდან მოდიოდნენ. იგი  მათში აკვირდება და გამოყოფს რწმენის ნიჭებს: დიდსულოვნება იესოს გამო ტანჯვაში, სამების ღმერთის საიდუმლოთა ცოდნა და ერთმანეთის გამოსწორების უნარი. დიდად მოსაწონია ეს მსხვერპლი და შესაწირავი ღმერთისთვის, რამეთუ სულიწმიდის მიერ არიან ნათელმოსილნი და გარდაქმნილნი.

# 8 ნოემბერი

შაბათი
2025

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III]

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი, (მ), თ

**რომ 16,3-9.16.22-27; ფს 144; ლკ 16,9-15**

## ვერ ემსახურებით ღმერთსაც და ფულსაც ლკ 16,13

ყოველი კაცის გული, და არა მხოლოდ მდიდართა, თავის საგანძურს ატარებს: პირონვნება, საქმიანობა, გეგმა... დღევანდელ სახარებაში იესო ცხადყოფს საიდუმლოს, რათა ამ სიმდიდრეებიდან გავთავისუფლდეთ და ვხარობდეთ იმით, რომ მხოლოდ იგია ჩვენი უფალი: შევეცდებით ეს განძი ჩვენს მოყვასებს ვუწყალობოთ.

# 9 ნოემბერი

კვირა

2025

რომის საკათედრო ტაძრის, ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

ეზეკ 47,1-2.8-9.12; ფს 45; 1კორ 3,9c-11.16-17; იო 2,13-22

შენი სახლის შუერი შემჭამს მე იო 2,17

იესო ტაძრის ეზოშია. ხედავს, რომ "თავისი მამის სახლი" სავაჭრო ადგილად ქცეულა. მან საბელის შოლტი გააკეთა და ყველა გამორეკა ტაძრიდან. ასე  განწმინდა „ლოცვის სახლი ყოველი ხალხისთვის". მადლობა, იესო, შენი გულმოდგინებისთვის. მადლობა შენს მიერ გაწეული საქმეებისა და ქადაგებისათვის, რომლებიც წმიდაყოფენ და ალამაზებენ შენს ეკლესიას, წლევანდელი საიუბილეო წლის მიმართ პატივისცემით.

# 10 ნოემბერი

ორშაბათი
2025

**რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV]**

წმ. ლეონ დიდი, პაპი, ეკლესიის მოძღვარი, +461, (მ), თ
*(28.X) წმ. მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი, VIIს.*

**სიბრძ 1,1-7; ფს 138; ლკ 17,1-6**

## უფლის სული ავსებს სამყაროს

სიბრძ 1,7

ღმერთის სიტყვა გვეხმარება  მისი
მოსიყვარულე მზერის ქვეშ ვიყოთ და მის
სულიწმიდას მივუყვებოდეთ. შევეცდები
ჩემი ცხოვრება მის ნებას შევუსაბამო და
ვიფხიზლო, რომ არ ჩავვარდე ცდუნებებში.
მისი დახმარებით შევძლებ ეკლესიაში
ძმური რწმენით ცხოვრებას ისე, რომ არავის
შევუქმნა დაბრკოლება.
მოდი, სულო წმიდაო და გამოგვძერწე.

# 11 ნოემბერი



სამშაბათი
2025

*წმ. მარტინ, ტურსის ეპისკოპოსი, +397, (მ), თ*
*(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, აბატი, +900*

სიბრძ 2,23 - 3,9; ფს 33; ლკ 17,7-10

## ღმერთმა თავის ღირსად შერაცხა ისინი სიბრძ 3,5

„ღმერთმა გამოსცადა და თავის ღირსად შერაცხა ისინი“: ასე ამბობს სრული ტექსტი. ზოგჯერ გვიგრძნია, როგორ გვცდის უფალი. თუმცა, მათი სიყვარულიც გვიგრძნია, ვინც გვერდში გვედგა რწმენის გაძლიერებაში. მამა ხარობს თავის შვილთა ამ ძვირფასი სიყვარულით და აკურთხებს მას. წმიდა მა-რტინის შემთხვევაშიც ასე იყო. ამბობენ, რომ მან თავისი მოსასხამი სიცივისგან გათოშილ ღატაკს უწილადა.

# 12 ნოემბერი

ოთხშაბათი

2025



წმ. იოსაფატი, პოლოცკის ეპისკოპოსი, წამებული, +1623 ვიტებსკში, (მ), წ

სიბრძ 6,1-11; ფს 81; ლკ 17,11-19

ადექი და წადი, შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ 17,19

ათი კეთროვნიდან მხოლოდ ერთი უცხოტომელი დაუბრუნდა იესოს მადლობის სათქმელად, ხოლო დანარჩენები უწინდებურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ... მხოლოდ მან შეიცნო იესო და საბოლოოდ, შეიცნო ღმერთის სიყვარული. და იესოც, სიყვარულით მიავლენს მას, რათა იყოს ნათელი წუთისოფელში.

# 13 ნოემბერი

ხუთშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV], მწ

*წმ. 100.000 წამებული, +1227*

**სიბრძ 7,22 - 8,1; ფს 118; ლკ 17,20-25**

**აჰა, თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი!** ლკ 17,21

ღვთის სასუფეველი გარედან როდი მოდის "მზამზარეულად". ზეციერი მამა გვანიჭებს მისი აგების უნარს. როდესაც იესოს ჩემს გულში გავამეფებ ანუ როდესაც ყოველ-ლდღიურ არჩევანში და ურთიერთობებში მის ნებას გავყვები, მაშინ იქცევა ჩვენი თანა-ცხოვრება მის სამეფოდ. მშვენიერ, მშვიდ და ხალისით სავსე სამეფოდ!

# 14 ნოემბერი



## პარასკევი 2025

სიბრძ 13,1-9; ფს 18; ლკ 17,26-37

*ვინცა ცდილობს თავისი სული შეინარჩუნოს, დაღუპავს მას* ლკ 17,33

ჩვენდა უნებურად ვცდილობთ გავექცეთ მას, რაც სულს გვიმძიმებს და სირთულეებს გვიქმნის. ისიც ვიცით, რომ ჩვენი ეგოს მუდმივი დაკმაყოფილება სრულ ბედნიერებას ვერ მოგვანიჭებს. ხშირად პირიქით ხდება! განა ახალი სიცოცხლე მშობიარობის ტკივილით არ იშვება? დღეს პარასკევია და ჯვარცმული იესო, თუკი ერთობაში დავრჩები მასთან, ხსნას და ახალ ცხოვრებაში აღდგომას მპირდება.

# 15 ნოემბერი

შაბათი

2025



*წმ. ალბერტ დიდი, რეგენსბურგის ეპისკოპოსი, დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1280 კიოლნში*

სიბრძ 18,14-16; 19,6-9; ფს 104; ლკ 18,1-8

როცა ძე კაცისა მოვა,
ნეტა ჰპოვებს ამქვეყნად რწმენას? ლკ 18,8

ვერავინ გასცემს ამ კითხვაზე პასუხს. პასუხს არც იესო მოელის, მას უბრალოდ სურს და იმედოვნებს, რომ სულ სხვა კითხვა იშვება ჩემში: "ისევ ცოცხლობს ჩემში რწმენა?". დღეს ამის ხილვა ძალუძს იესოს, როდესაც მის ნებას ვასრულებ. არ დავიღლები სულიწ-მიდისთვის შეწევნის თხოვნით!

# 16 ნოემბერი

კვირა 2025

რიგითი XXXIII კვირადღე, «გ», [I], მწ

*[სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;*
*წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093 ედინბურგში;*
*წმ. გერტრუდა, ქალწული, მონაზონი, +1302 ჰელფტაში (გერმანია)]*

მალ 3,19-20; ფს 97; 2თეს 3,7-12; ლკ 21,5-19

უპოვართა მსოფლიო დღე

**მოთმინებით მოიპოვეთ თქვენი სული** ლკ 21,19

წუთისოფელში თვით წარმტაცი და მშვენიერიც კი ქრება, დიდი ჯაფით აგებული ნადგურდება. ღმრთისმოშიშიც განიცდს ტანჯვას მისი სიყვარულის გამო. ჩვენ არ გვეშინია, რამეთუ ვიცით, რომ მისი სიყვარული დაიფარავს ჩვენს სულს. გვიყვარს და მას ვემორჩილებით, შეჭირვებისა და დევნის მიუხედავად.

# 17 ნოემბერი

ორშაბათი
2025

**რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I]**

*წმ. ელისაბედ უნგრელი, თიურინგიის ჰერცოგინია, მონაზონი, +1231 მარბურგში(გერმანია), (მ), თ*
*(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი, ქრისტეს საფლავის მოღვაწენი*

**1მაკ 1,10-15.41-43.54-57.62-64; ფს 118; ლკ 18,35-43**

**წმ. ელისაბედის დების დღესასწაული**

**იესო ნაზარეველი მოდის!** ლკ 18,37

იესო, ზოგჯერ აბუჩად ასაგდებად გეძახდნენ „ნაზარეველს“: შენ ხომ მივიწყებული სოფლიდან მოდიოდი, წმიდა წერილშიც რომ არ არის მოხსენებული... მაგრამ წინასწარმეტყველი „კვირტზე“ საუბრობდა, ანუ ყვავილზე, რომელიც იესეს ანუ დავითის მამის ფესვიდან აღმოცენდებოდა. “კვირტი” სიტყვა “ნაზარეთის” ერთ-ერთი მნიშვნელობაა. კვირტი იმედს გვისახავს: ნაზარეველი იესო სრულად აახდენს იერიქონელი ბრმა კაცის რწმენით აღსავსე იმედს.

# 18 ნოემბერი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I], მწ

*წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა ბაზილიკათა კურთხევა*

2მაკ 6,18-31; ფს 3; ლკ 19,1-10

ძე კაცისა მოვიდა დაკარგულის
მოსაძებნად და სახსნელად ლკ 19,10

ცუდს ფიქრობდნენ მასზე, რამეთუ ცოდვილი
კაცის სახლში დაიპატიჟა თავი! ეს უკვე მე-
ტისმეტი იყო მათთვის! იესო როდი უშინდება
გაკიცხვას და, ზაქეს სახლში შედის. მის გულ-
შია მამა, ვისაც შვილივით უყვარს ეს გულქვა
ცოდვილი, და ეძებს მას.
იესო, შენ მეც მეძებდი: მარადჟამს გაქებ!
მადლობას გწირავ იმ სახლში ყოფნის გამო,
სადაც ჩვენ, ცოდვილები ვიკრიბებით!

# 19 ნოემბერი

ოთხშაბათი

2025



2მაკ 7,1.20-31; ფს 16; ლკ 19,11-28

## წინ წავიდა იერუსალიმში ასასვლელად ლკ 19,28

იესო მყარი ნაბიჯებით მიუყვება აღმართს
იერუსალიმისკენ, იქ მას მეფე-მესიად მიიღე-
ბენ. სწორედ აქ გასცემენ და აცვამენ ჯვარს.
და ბოლოს, სწორედ აქ აღადგენს მას მამა.
არ შევუშინდები თუკი მეც  მომიწევს აღმარ-
თზე ასვლა: გულმოდგინედ გავუყვები იესოს
გზას და ჩემს და-ძმებში ვემსახურები მას.
ამაღამ აღდგომის სიმშვიდეში გახმიანდება
მისი ხმა: „კეთილი... ჩემი ერთგული იყავ“.

# 20 ნოემბერი

ხუთშაბათი

2025



1მაკ 2,15-29; ფს 49; ლკ 19,41-44

## მიწასთან გაგასწორებენ შენ და შენს შვილებს ლკ 19,44

ამ სიტყვებს იერუსალიმზე ამბობს და თანაც ტირის მის გამო.
იესოს ცრემლები, ღმერთის ძის ცრემლები: კიდევ უფრო მეტად იწვევენ ჩემში მისდამი სიყვარულს, მთელი არსებით მიპყრობენ მე, ცოდვილ კაცს. მსურს განუგეშო, იესო; მსურს თავი მოგიძღვნა, რათა მავანი დღეს შენი რწმენით სიცოცხლეს დაუბრუნდეს!

# 21 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I]

## პარასკევი

## 2025

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

1მაკ 4,36-37.52-59; საგ. 1ნეშტ 29,10-12; ლკ 19,45-48

**მთელი ხალხი მოუშორებლად უსმენდა მას** ლკ 19,48

იესო ტაძარში შედის. სურს, რომ ეს ადგილი თავისუფალი იყოს. აქ, გაჩაღებული ვაჭრობის მიუხედავად, „ყოველდღე“ ასწავლიდა იგი ღმერთის სიტყვას. მისი მსმენელები ღმერთის ახალ ერად ყალიბდებიან. იგი თავისი ეკლესიის ჯაჭვის პირველი რგოლია. ხოლო უწმიდესი მარიამი, რომლის ტაძრად მიყვანების დღეს ვზეიმობთ, ისევ ამ სიტყვებით მოგვმართავს: „გააკეთეთ, რასაც ის გეტყვით“.

# 22 ნოემბერი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I]

წმ. ცეცილია, ქალწული,
წამებული რომში +~250, (მ), წ

1მაკ 6,1-13; ფს 9; ლკ 20,27-40

ვინცა ღირსნი არიან მოიპო�onmd მკვდრეთით აღდგომა, არცა ცოლს ირთავენ, არცა თხოვდებიან ლკ 20,35

იესო ახალ ცხოვრებას გვიმჟღავნებს, რომელიც მის სიყვარულში განვლილი მიწიერი ცხოვრების შემდეგ მოგველის ზეცად. ჩვენი გული სრულად უფლისადმი იქნება მიმართული და ადამიანური გრძნობები აღარ დაგვჭირდება, როგორც ანგელოზებს. ყველას გამო და ყველასთან ერთად გავიხარებთ მისი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნით.

# 23 ნოემბერი

## რიგითი XXXIV კვირადღე, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სამყაროს მეფისა, «გ», დდ, [ს], თ

კვირა 2025

[(10.XI) წმ. გიორგი წამებული]

*[წმ. კლემენტ I, პაპი და წამებული, +~97 რომში; / წმ.კოლუმბან, ლიუქსოილის აბატი (ზემო სონა) +615 ბობიოში (იტალია); / (10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852]*

2მეფ 5,1-3; ფს 121; კოლ 1,12-20; ლკ 23,35-43

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

[გიორგობა. უდეში „პირდაპირების“
სამლოცველოს დღეობა]

**ისნას თავისი თავი, თუ ქრისტეა** ლკ 23,35

სწორედ ეს არის, რისი გაკეთებაც იესომ არ ურჩია! დიახ, იგი ქრისტეა, მაგრამ არა მათ მიერ ნანატრი. იგი ქრისტე მეფეა, ვინც სიყვარულით ადის ჯვარზე და მის გვერდით მომაკვდავ ავაზაკს ეტყვის: „დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“.
დიდება შენდა, იესო ქრისტე, ვინც კეთილი მწყემსის დარად მეფობ.

# 24 ნოემბერი



ორშაბათი
2025

წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუცესი და მისი მეგობრები, ვიეტნამში წამებულნი, 1625–1886წწ. (მ), წ

დან 1,1-6.8-20; საგ. დან 3,52-56; ლკ 21,1-4

*ღარიბმა ქვრივმა ჩაიდო ორი ლეპტა* ლკ 21,3

„ტაძრის საგანძურის“ წინ ვდგავართ: ზოგიერთი მდიდარი ბევრს ყრის. ქვრივიც უახლოვდება, რომ თავისი შესწიროს. იესო ხედავს და თავის მიმდევრებს ამ განსხვავებაზე მიანიშნებს. მდიდრები ყრიან, რაც ზედმეტი აქვთ, რაც მათ ცხოვრებას ოდნავადაც არ შეცვლის, ხოლო ქვრივმა ჩადო „მთელი სარჩო, რაც ებადა“. ეს მისთვის ძვირფასი შესაწირავია. ამით აჩვენებს მომხვეჭელობისგან თავისუფალ გულს, რაც ყოვლად აუცილებელია იესოს მიმდევრებისთვის, რათა სრულად ენდობოდნენ მამის განგებულებას.

# 25 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

## სამშაბათი 2025

*წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწული და წამებული, +III-IV სს*

დან 2,31-45; საგ. დან 3,57-61; ლკ 21,5-11

**ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა** დან 2,44

სამეფო, რომელსაც დანიელ წინასწარმეტყველი აუწყებს, იესოს და მისი ეკლესიის სამეფოა: არასოდეს განადგურდება, რამეთუ მამის უკვდავ სიყვარულზეა აგებული. მასში და-ძმებივით ვცხოვრობთ, მოციქულებს ვუსმენთ და პურის გატეხვას ვესწრებით... ის, ვინც ცხოვრების ამგვარ სტილს იღებს, ღმერთის სიყვარულს და მშვიდობას ჰფენს მთელს წუთისოფელს. აჰა, აქა ვარ, იესო და შენი ნების აღსრულება მწადია.

# 26 ნოემბერი

ოთხშაბათი

2025



დან 5,1-6.13-14.16-17.23-28; საგ. დან 3,62-67; ლკ 21,12-19

ბენედიქტელ დ. მარია დი ჯეზუს გახსენება (+2024)

**მე მოგცაქმთ თქვენ პირსა და სიბრძნეს** ლკ 21,15

იესო ბოლო ჟამზე და თავის დიდებულ დაბრუნებაზე საუბრობდა. მაუწყებელ ნიშანთა შორის იყო დევნა, ადრიდანვე დაწყებული. უპირველესად, დიაკონ სტეფანეს წინააღმდეგ მიმართული დევნა, ვისზეც ამბობდნენ, რომ მისი ბრალმდებელნი ვერ უძლებდნენ იმ ზებუნებრივ სიბრძნეს, რითაც იგი საუბრობდა. ასე იყო რწმენის აღმსარებელთა შემთხვევაშიც. გმადლობ, იესო: შენ გვერდით უდგახარ შენს ეკლესიას, დღესაც განსაცდელში მყოფს და სიბრძნესა და გამბედაობას სძენ შენს დასამოწმებლად.

# 27 ნოემბერი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

დან 6,12-28; საგ. დან 3,68-74; ლკ 21,20-28

*ეაიმართეთ და თავი ასწიეთ,*
*რადგან ახლოა-ვდება თქვენი ხსნა* ლკ 21,28

იესოს სიტყვა, რომელიც ლიტურგიული წლის ამ ბოლო დღეებში მოგვეწოდება, შეგვახსენებს, რომ დედამიწაზე ყოველივე წარმავალია. შეგვიძლია ვემზადოთ მეგობრობის დასრულებისთვის, ჩვენი მსახურების მარცხისათვის, საყვარელი ადამიანის სიკვდილისთვის. ეს ყოველივე იქნება  პირობა იმისა, რომ „თავი ავწიოთ“: იესო, ვინც არის, იყო და იქნება, იმაზე უფრო ახლოსაა, ვიდრე ოდესმე!

# 28 ნოემბერი

პარასკევი

2025



დან 7,2-14; საგ. დან 3,75-81; ლკ 21,29-33

ცა და მიწა ვადაიქცევიან,
რემი სიტყვები კი არ ვადაიქცევიან ლკ 21,33

იესომ იწინასწარმეტყველა ტაძრისა
და წმიდა ქალაქის დანგრევა. იგი ასევე
ჟამთა აღსასრულზე და თავის დიდებულ
დაბრუნებაზე საუბრობდა. მადლობა,
იესო, რამეთუ ეს დღე ყოველი შენი
მორწმუნისთვის ლხენისა და თავისუფლების
დღე იქნება. მადლობა, რამეთუ  შენი
სიტყვა მუდამ შემწედ ევლინებოდა პირველ
ქრისტიანებს და  შენს ეკლესიას, და მუდამ
ასე იქნება, რამეთუ შენ მკვდრეთით
აღმდგარი და ცოცხალი ხარ უკუნისამდე.

# 29 ნოემბერი

შაბათი

2025



დან 7,15-27; საგ. დან 3,82-87; ლკ 21,34-36

ყველა ხელმწიფე მას მოემსახურება
და მას დაემორჩილება დან 7,27

აგერ, ახლახან აღვნიშნეთ იესოს, სამყაროს მეფის დღესასწაული. ამჯერად, დანიელი სხვა მეფეებზე გვიყვება, არა შორეულზე, არამედ ჩვენს გულებში მყოფებზე. ეჭვიანობა და შური, სიამაყე, მამისადმი უნდობლობა, ძალაუფლების სურვილი... ეს ის საშინელი მეფეები არიან, რომლებიც გვანადგურებენ! მოდი და იმეფე, უფალო იესო, მეუფეო სიყვა-რულისა და მშვიდობისა!

# 30 ნოემბერი

კვირა

2025

ადვენტის I კვირადღე, «ა», [I], ი

[წმ. ანდრია, მოციქული]

*[(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914]*

ეს 2,1-5; ფს 121; რომ 13,11-14; მთ 24,37-44

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

[ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა]

**მზად იყავით** მთ 24,44

იესო, შენ არ გაგიმხელია შენი მოსვლის ჟამი, შენ უბრალოდ გვითხარი – "მზად იყავით". როგორც ნოეს დროს "ჭამდნენ და სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ, თხოვდებოდნენ...", ჩვენც ასე მოვიქცევით ყოველდღიურ ცხოვრებაში, მუდამ გულში გვეყოლები: მშვიდობით, სიხარულით, თავმდაბლობით. და იმ დღეს ანგელოზები გაიხარებენ, რამეთუ „სახლში" მიგვიყვანენ.